



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**

USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა
USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM

კონკურსი ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო (ICG) პროგრამა

გრანტების მოცულობა:	\$10,000-დან \$30,000-მდე
გასაცემი გრანტების რაოდენობა:	მაქსიმუმ 8
საგრანტო პროექტების ხანგრძლივობა:	6-დან 12
თვემდე საგრანტო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა:	26.04.2024
ვის შეუძლია განაცხადის წარდგენა:	რეგისტრირებულ ორგანიზაციებსა და მოქალაქეთა არარეგისტრირებულ გაერთიანებებს

USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა აცხადებს ღია საგრანტო კონკურსს „ინოვაციებისა და გამოწვევების გრანტებზე“ (ICG). კონკურსის მიზანია, მხარი დაუჭიროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, სამოქალაქო მოძრაობების, პროფესიული ასოციაციებისა და მოქალაქეთა არარეგისტრირებული გაერთიანებების ინიციატივებს, რომლებიც მიმართული იქნება მოქალაქეთა ჩართულობის ან/და სათემო აქტივიზმის გაზრდისკენ.

კონკურსის ფარგლებში USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა **რვა გრანტს** გასცემს. რეგისტრირებული სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის გასაცემი გრანტების ბიუჯეტი **\$10,000-დან \$30,000-მდე** იქნება, ხანგრძლივობა კი - **12 თვემდე**, ხოლო მოქალაქეთა არარეგისტრირებული გაერთიანებებისთვის გასაცემი გრანტების ბიუჯეტი - **\$10,000-მდე და ხანგრძლივობა - 6 თვემდე**. USAID-ის სამოქალაქო ჩართულობის პროგრამა იტოვებს უფლებას, დააფინანსოს ნებისმიერი ან არცერთი წარმოდგენილი განაცხადი.

საგრანტო პროგრამის მიზანი

„ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო პროგრამა“ შესაძლებლობას აძლევს ფორმალურ (რეგისტრირებულ) და არაფორმალურ (არარეგისტრირებულ) სამოქალაქო გაერთიანებებს, განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები და ხელი შეუწყონ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. საგრანტო პროგრამა ემსახურება USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მთავარ მიზანს -- სამოქალაქო ინიციატივებსა და დემოკრატიულ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას საქართველოში.

„ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო პროგრამისა“ და USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მიზნებთან შესაბამისობაში შეიძლება იყოს ისეთი პროექტები, როგორცაა:

- ✚ კამპანიები, რათა უფრო მეტი მოქალაქე ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სამოქალაქო ინიციატივებში თემის მიერ გამოკვეთილ საჭიროებებზე საპასუხოდ (განსაკუთრებით, ისეთ თემებში, სადაც სამოქალაქო ჩართულობის კუთხით ყველაზე მეტი გამოწვევაა).



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**

USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა
USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM

- ✚ საკომუნიკაციო და საინფორმაციო კამპანიები, მათ შორის, ე.წ. ვირუსული კამპანიები, კონკრეტული პრობლემ(ებ)ის შესახებ მოქალაქეების სათანადოდ ინფორმირებისთვის და მის/მათ გადასაჭრელად საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზებისთვის.
- ✚ კამპანიები USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მიერ 2023 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ კვლევაში - [„მოქალაქეთა დამოკიდებულებები მუნიციპალური საქმიანობისა და სერვისების მიმართ“](#) - გამოკვეთილ პრობლემებზე საპასუხოდ.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებშიც:

- ✚ ყურადღება კონკრეტულ საკითხზე/პრობლემაზე იქნება გამახვილებული და მისი მნიშვნელობა/აქტუალობა მკაფიოდ იქნება დასაბუთებული.
- ✚ ნათლად იქნება ნაჩვენები, რომ განმცხადებელ ორგანიზაციას/გაერთიანებას კარგად ესმის, რა გარემოში/ვითარებაში მოუწევს აქტივობების განხორციელება.
- ✚ შემოთავაზებული იქნება პრობლემის გადაჭრის რეალისტური, კრეატიული და ინოვაციური მიდგომები, მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.
- ✚ გათვალისწინებული იქნება ნაკლებად დაცული და მარგინალიზებული ჯგუფების, მათ შორის, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და უმცირესობების ფართო და სიღრმისეული მონაწილეობა.

თუ გრანტის მიმღები მიმდინარე პროექტისთვის ან მის გასაგრძელებლად ადგილობრივი წყაროებიდან (მაგ. მოქალაქეებისგან, კერძო სექტორისგან ან/და მთავრობისგან) დამატებით დაფინანსებას მოიპოვებს, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა განიხილავს გრანტის მოცულობის (bonus/match funding) გაზრდის შესაძლებლობას იმ პირობით, თუ გაზრდილი დაფინანსება საგრანტო აქტივობის გამრავალფეროვნებას, მასშტაბის გაზრდას ან/და გაგრძელებას მოხმარდება. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს:

- ფინანსური და არამატერიალური შემოწირულებების მიღებას მოქალაქეებისგან.
- შეთანხმების მიღწევას ხელისუფლებასთან, რომ პროექტის წარმატების შემთხვევაში, გაგრძელდება მისი სისტემური მხარდაჭერა (მაგ., პროექტის შესაბამისი კომპონენტ(ებ)ი აისახება ადგილობრივ/სახელმწიფო სერვისებში/პროგრამებში).
- მხარდაჭერის მიღებას კერძო სექტორისგან, რომ გაფართოვდეს პროექტის აქტივობები სისტემური და მდგრადი ცვლილებების მისაღწევად.

განაცხადის წარდგენის პროცედურა

USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა მიიღებს ინგლისურ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადებულ განაცხადებს. განაცხადები მიიღება როგორც წერილობით, ისე ვიდეო ფორმატში. არ არის აუცილებელი, ვიდეო პროფესიონალურ დონეზე იყოს გადაღებული და დამონტაჟებული. მისი გადაღება



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა
USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM

შეიძლება ვიდეოკამერით, ტელეფონით, ან ციფრული ფოტოაპარატით. ვიდეოგანაცხადი უნდა პასუხობდეს საგრანტო განაცხადის ფორმაში დასმულ კითხვებს (აღწერდეს პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს). სასურველია, რომ მასში წარმოდგენილი იყოს თემის წარმომადგენელთა მოსაზრებები. ვიდეოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს და ის YouTube-ზე უნდა იყოს ატვირთული.

შევსებული საგრანტო განაცხადი ან ვიდეოგანაცხადი მიიღება ელექტრონულად ელ. ფოსტის მისამართზე: csep@ewmi.org. სათაურის ველში მიუთითეთ ICG Program. საგრანტო პროგრამასთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში მიმართეთ ანი ნიქაბაძეს, სამოქალაქო ჩართულობის კოორდინატორს, ელ. ფოსტის მისამართზე: anikabadze@ewmi.org.

შეფასების პროცესი და კრიტერიუმები

საგრანტო განაცხადებს შეაფასებს სპეციალურად ამ საგრანტო პროგრამისთვის შექმნილი გრანტების შემფასებელი კომისია (GRC), რომლის შემადგენლობაში იქნებიან USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის თანამშრომლები და სხვა მოწვეული პირები. თუ საგრანტო განაცხადი გაივლის შერჩევის ამ (პირველ) ეტაპს, განმცხადებელს შესაძლოა ეთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

საგრანტო განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საგრანტო პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა.
- შემოთავაზებული სტრატეგიის ეფექტიანობა და ინოვაციურობა.
- მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი.
- აქცენტი რეგიონებზე და მარგინალიზებულ თემებზე.
- ხარჯთეფექტურობა.
- პროექტის გუნდის კვალიფიკაცია და უნარები.

პროექტის დეტალური სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად, შერჩეული პროექტების წარმომადგენლებს USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა მონაწილეობით (ე.წ. თანაშემქმნის) სამუშაო შეხვედრებში ჩართავს.

ვადები

საგრანტო კონკურსის გამოცხადება	2024 წლის 6 მარტი
ღია კარის დღე USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის ოფისში და/ან დისტანციურად	2024 წლის 11 აპრილი
განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა	2024 წლის 26 აპრილი
განაცხადების შეფასება	2023 წლის 2 მაისი
შემდეგ ეტაპზე გადასული პროექტების ავტორებთან კომუნიკაცია	2023 წლის 7 მაისი
სოციალური ლაბორატორიის ფორმატის შეხვედრების ორგანიზება	2024 წლის მაისი-ივნისი
პროექტების დაწყება	2024 წლის 15 აგვისტო
<i>განაცხადების განხილვისა და გამარჯვებულების გამოცხადების ვადები შეიძლება შეიცვალოს</i>	



USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა
USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM

დაფინანსების სქემები

რეგისტრირებული სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის და მოქალაქეთა არარეგისტრირებული გაერთიანებებისთვის გათვალისწინებულია დაფინანსების ორი განსხვავებული სქემა. რეგისტრირებულმა სამოქალაქო ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ სტანდარტული საგრანტო ბიუჯეტები, სადაც მითითებული იქნება დეტალური ინფორმაცია მათ მიერ გასაწევი ხარჯების შესახებ. მოქალაქეთა არარეგისტრირებულმა გაერთიანებებმა უნდა წარმოადგინონ იმ საქონლის/მომსახურებების ჩამონათვალი (შესაბამისი ღირებულებებისა და მომწოდებელთა ჩამონათვალის მითითებით), რომლებიც პროექტის აქტივობების განსახორციელებლად დასჭირდებათ. მოქალაქეთა არარეგისტრირებული გაერთიანებებისთვის შესყიდვების განხორციელება მოხდება უშუალოდ USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მიერ.

როგორც წესი, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა გრანტიორ ორგანიზაციებთან Fixed Amount Award (FAA) ხელშეკრულებებს დადებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციას ხარჯები აუნაზღაურდება მათი გაწევის შემდეგ და მხოლოდ პროგრამული ანგარიშის წარდგენის საფუძველზე. სტანდარტული საგრანტო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (თუ საპროექტო აქტივობები FAA-ის გაფორმების შესაძლებლობას არ იძლევა).

რეგისტრირებულმა სამოქალაქო ორგანიზაციებმა ასევე უნდა წარმოადგინონ აშშ-ის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე (SAM.gov) მოპოვებული ორგანიზაციის უნიკალური მაიდენტიფიცირებელი კოდი (Unique Entity ID). ასეთის არქონის შემთხვევაში, გთხოვთ, იხილოთ ვიდეო ინსტრუქცია მითითებულ ლინკზე: <https://www.youtube.com/watch?v=4RSHjczdxq8>, რომელიც დაგეხმარებათ მის აღებაში. განაცხადის წარდგენის ეტაპზე, UEI კოდის არ ქონა არ წარმოადგენს განაცხადის დახარვეზების (ან უარყოფის) საფუძველს. თუმცა, საგრანტო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მისაღებად აუცილებელია ორგანიზაციამ წარმოადგინოს UEI კოდი.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება:

- პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა ან/და ლობირება.
- რელიგიური საქმიანობა.
- თეორიული/აკადემიური კვლევა.
- ტრენინგი, როგორც პროექტის ძირითადი აქტივობა.
- ინდივიდუალური ან/და ჯგუფური სამოგზაურო გრანტები.
- ჰუმანიტარული საქმიანობა.
- სამშენებლო ხარჯები.
- სესხის მომსახურება/დაფარვა.
- პროექტის დაწყებამდე გაწეული ხარჯები.

საჯარო მოხელეებს, პოლიტიკური თანამდებობის პირებს და პოლიტიკური პარტიების ლიდერებს არ აქვთ უფლება იყვნენ პროექტის ხელმძღვანელები ან/და პროექტიდან მიიღონ ანაზღაურება.



USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა
USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM

შედეგების შეტყობინება

USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა განაცხადების განხილვის შედეგებს ყველა განმცხადებელს შეატყობინებს, მათ შორის, იმ განმცხადებლებსაც, რომლებიც პირველ ეტაპს ვერ გადალახავენ. მიღებული განაცხადების რაოდენობის გათვალისწინებით, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამამ, შესაძლოა, ვერ შეძლოს თითოეულ უარყოფილ განაცხადზე დეტალური განმარტებების გაცემა. წარმატებულ განმცხადებლებს USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა მითითებულ ვადებში დაუკავშირდება და შემდგომი ნაბიჯების შესახებ აცნობებს. USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის პრინციპით. ინფორმაცია დაფინანსებული პროექტების შესახებ საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ზედამხედველობისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

გრანტის ადმინისტრირება და ანგარიშგება

გრანტის მიმღები ვალდებული იქნება USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამას წარუდგინოს პერიოდული/მიმდინარე და საბოლოო ანგარიშები განხორციელებული აქტივობებისა და შედეგების შესახებ. ზოგიერთი საგრანტო პროექტის შემთხვევაში, შესაძლოა, გადაიხედოს ანგარიშგების ფორმატი და წერილობითი ანგარიშები პერიოდული სატელეფონო ზარებით ან/და ადგილზე ვიზიტების განხორციელებით ჩანაცვლდეს, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციისა და აზრების ღიად გაცვლა.

USAID-ის სამოქალაქო ჩართულობის პროგრამა გრანტის მიმღებებს სრული საგრანტო ციკლის განმავლობაში გაუწევს ტექნიკურ დახმარებას. პროგრამა, ასევე, ხელს შეუწყობს გრანტიორებს შორის ცოდნისა და გამოცდილების რეგულარულად გაზიარებასა და ურთიერთთანამშრომლობას.

USAID-ის სამოქალაქო ჩართულობის პროგრამა მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მისი საქმიანობა. გთხოვთ, შენიშვნები ან/და მოსაზრებები საგრანტო პროგრამებთან ან/და პროცედურებთან დაკავშირებით გავიზიაროთ ელექტრონული ფოსტის ან Facebook-ის მეშვეობით.